



ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1050

2016 წლის 21 სექტემბერი

ქ.ლაგოდები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 ივლისის №688
ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდების მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 5 ივლისის №688 ბრძანებაში „მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში პირის დაბადების შესახებ შეტყობინებისა და გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმის შედგენისა და გაცემისათვის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე“ და ბრძანების მეორე მუხლს დაემატოს „მუხლი 2!“ შემდეგი რედაქციით.

“ **მუხლი 2!** ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ კანონით დადგენილი წესით გამოყენებული კუთვნილი შვებულების პერიოდში, ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე პირებად განისაზღვრონ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლების მოვალეობის შემსრულებლები.“

მუხლი 2. ბრძანების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელად.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:

კ. კარლოშვილი

